**ამონაწერი**
*სტუდენტის სტატუსისა*
*და სასწავლო პროცესის რეგლამენტიდან*

# თავი VII. სტუდენტთა მობილობა

## მუხლი 23. მოწესრიგების სფერო

1. ეს თავი განსაზღვრავს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტთა მობილობის წესს.
2. მობილობა გულისხმობს სტუდენტის გადასვლას ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან მოძრაობას უნივერსიტეტის ფარგლებში, ან კრედიტების დაგროვებას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის, უცხოეთში.
3. მობილობის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც სწავლობს შესაბამის საგანმანათლებლო საფეხურზე მინიმუმ ერთი წელი ან, რეგისტრაციის მომენტისთვის, შეჩერებული, ან შეწყვეტილი აქვს სტატუსი შესაბამისი შეზღუდვის გათვალისწინებით, ან ადგილი აქვს მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას.

## მუხლი 24. მობილობის პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. სტუდენტთა მობილობის პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერისა და სერვისის სამსახური, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი და დეკანი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით.
2. ხელმისაწვდომობის მიზნით, უნივეტსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდება ინფორმაცია მობილობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

## მუხლი 25. მობილობის წესით სტუდენტთა მიღების გამოცხადება

1. სტუდენტთა მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ _ საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების დაწყებამდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ პერიოდში.

## მუხლი 26. მობილობის პროცესი

1. მობილობის მსურველის სტატუსს, სტუდენტი მოიპოვებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის შედეგად და შესაბამისი სარეგისტრაციო საფასურის გადახდის შემდეგ.
2. ელექტრონულ პორტალზე აისახება:
   ა) ვაკანტური ადგილები მობილობის წესით სტუდენტების მისაღებად, საგანმანათლებლო საფეხურების/სკოლების/პროგრამების მიხედვით.
   ბ) მობილობის უფლების მქონე პირების ელექტრონული განაცხადები/პრიორიტეტები.
3. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა ნაკლებია მსურველთა რაოდენობაზე, უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ ის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები უფრო მაღალია,

ვიდრე მობილობის მსურველ სხვა სტუდენტთა შედეგები.

4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება, ასევე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის შედეგად.
5. იმ შემთხვევაში, თუ ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი სტუდენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანხმობით, უნივერსიტეტს შეუძლია დაამატოს ადგილები, ხოლო თუ არ არსებობს ვაკანტური ადგილები დადგენილი ქვოტის ფარგლებში, მიმართვის საფუძველზე, ცენტრს შეუძლია დაუმატოს მისაღები ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია თანაბარქულიანი მობილობის მსურველთა ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში, დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება უნივერსიტეტისთვის მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.
6. ელექტრონულ პორტალზე იმ პირთა სიის გამოქვეყნების შემდეგ, რომლებმაც მოიპოვეს მობილობის უფლება, მიმართავენ უნივერსიტეტს.
7. ელექტრონულ პორტალზე განთავსებული სიის შესაბამისად, აპლიკანტთა განცხადებების რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტში.
8. უნივერსიტეტში რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები:
   - განცხადება რექტორის სახელზე (ივსება ადგილზე);
   - აპლიკაცია (ივსება ადგილზე);
   - პირადობის მოწმობის ასლი;
   - სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის);
   - ატესტატის ასლი (ბაკალავრიატისა და დიპლომირებული მედიკოსის სტუდენტებისთვის);
   - ეროვნული გაამოცდის სეტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
   - აკადემიური ცნობა კრედიტებისა და შეფასებების მიხედვით;
   - 2 ფოტოსურათი (3X4) ჩD დისკთან ერთად;
   - მშობლიურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის ასლი;
   - სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში);
   - დიპლომი დანართთან ერთად (მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებისათვის);
   - საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" ძალაში შესვლამდე მოპოვებული უმაღლესი განათლების დიპლომის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებისათვის).
9. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ გაივლის რეგისტრაციას უნივერსიტეტში, კარგავს ჩარიცხვის უფლებას თუ არ არსებობს ობიექტური მიზეზი.
10. მობილობის მსურველს, საბუთების ასლის წარმოდგენის დროს შეეთავაზება სტუდენტის ეთიკის კოდექსი გასაცნობად. თუ აპლიკანტისთვის მისაღებია კოდექსით გათვალისწინებული დებულებები, იგი ხელს აწერს შესაბამის დეკლარაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია უარი უთხრას მიღებაზე. ამის შესახებ აპლიკანტი წინასწარ უნდა იქნას ინფორმირებული.

## მუხლი 27. გადაწყვეტილების მიღების პროცედურა

1. ამ დებულების 26-ე მუხლის, მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ მზადდება პროგრამების იდენტიფიკაციის საექსპერტო დასკვნა მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის "გ"-„ე" ქვეპუნქტებით დადგენილი წესით.
2. გამოცდას/გასაუბრებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ატარებს აკადემიური სკოლა რექტორის სამართლებრივი აქტით დადგენილ დროს.
3. გამოცდის/გასაუბრების შედეგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან პროგრამაზე დაშვებულ აპლიკანტთა სიას, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, გამოაქვეყნებს სტუდენტთა მხარდაჭრისა და სერვისის სამსახური.
4. უნივერსიტეტის სტუდენტთა მახარდაჭერისა და სერვისის სამსახური ამზადებს აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ, რექტორის სამართლებრივი აქტის პროექტს, რომელიც იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში.
5. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში,რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ.
6. რექტორის სამართლებრივი აქტი, სტუდენტთა მობილობით ჩარიცხვის შესახებ, გამოიცემა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ დროს.
7. რექტორის სამართლებრივი აქტი, სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ, გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, აისახება უნივერსიტეტის რეესტრში, ხოლო სამი სამუშაო დღის ვადაში გაიგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
8. რექტორის სამართლებრივი აქტი, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასულ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის შესახებ,მზადდება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინება ცენტრის მიერ დადგენილ დროს.

## მუხლი 28. კრედიტების ცნობა/აღიარება

1. კრედიტების აღიარება ეფუძნება სტუდენტის აკადემიური თავისუფლებისა და ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტებისათვის განსაზღვრული კრედიტების დაგროვების პრინციპებს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის გათვალისწინებით.
2. პროგრამათა შედარების შედეგად დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვის გაუარესება/გადატვირთვა - განხორციელებული სასწავლო აქტივობები მაქსიმალურად უნდა აისახოს აღიარებულ კრედიტებში, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის გათვალისწინებით.
3. აღიარებას ექვემდებარება სტუდენტის მიერ რეალურად დაგროვებული კრედიტები, ხოლო მეტობით დარჩენილი კრედიტები, მიმღები პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტებთან შედარებით, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას სხვა სავალდებულო ან თავისუფალი კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების აღიარებისთვის.
4. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის მიერ გავლილი დისციპლინა/მოდული მოიცავს მიმღები პროგრამის რამდენიმე დისციპლინის თემატიკას, შესაძლებელია, აღნიშნული დისციპლინის ფარგლებში დაგროვებული კრედიტები განაწილდეს მიმღები პროგრამის შესაბამის დისციპლინებს შორის და აღიარებულ იქნას, როგორც ძირითადი სწავლის სფეროს ან თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსის კრედიტები.
5. კრედიტების აღიარება ავტომატურად ხდება იმ შემთხვევაში თუ საიდენტიფიკაციო სასწავლო კომპონენტის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა მიმღები პროგრამის შესაბამისი

კომპონენტის დასახელებას და კრედიტების რაოდენობას.

6. იმ შემთხვევაში, თუ საიდენტიფიკაციო სასწავლო კომპონენტის დასახელება არ ემთხვევა მიმღები პროგრამის სასწავლო კომპონენტის დასახელებას, ამ კომპონენტის კრედიტების აღიარება დასაშვებია მიმღები პროგრამით გათვალისწინებული ანალოგიური კომპონენტის ძირითად შინაარსთან თავსებადობის საფუძველზე.
7. საიდენტიფიკაციო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტის კრედიტები, რომლებიც განსხვავდებიან მიმღები პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტისაგან, შეიძლება აღიარებულ იქნას, როგორც მიმღები პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს კრედიტები (პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის გათვალისწინებით) ან მიმღები პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსის კრედიტები.
8. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს კრედიტები დაგროვებული აქვს თავისუფალი სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, ხოლო მიმღები პროგრამით აღნიშნული კომპონენტი გათვალისწინებულია, როგორც ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსი, ეს კრედიტები შეიძლება აღიარებულ იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტის კრედიტებად და პირიქით.
9. იმ შემთხვევაში, თუ საიდენტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კომპონენტი არც ერთი პარამეტრით არ ემთხვევა მიმღები პროგრამის რომელიმე კომპონენტს, შეიძლება მისი, როგორც თავისუფალი კომპონენტის, მათ შორის, საუნივერსიტეტო სასწავლო კურსის კრედიტებად აღიარება.
10. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს არ აქვს გავლილი ან საიდენტიფიკაციო პროგრამა არ გულისხმობს მიმღები პროგრამით გათვალისწინებული ინსტრუმენტული სასწავლო კურსების სწავლებას (ინფორმაციული ტექნოლოგიები, უცხო ენები და მისთ.), დასაშვებია, გასაუბრების საფუძველზე (თუ სტუდენტი გამოავლენს საკმარის კომპეტენციას), აღნიშნული დისციპლინებისათვის განსაზღვრული კრედიტები აღიარებულად ჩაითვალოს, ან ეს დისციპლინები მიჩნეულ იქნას კრედიტზევით გავლილ კურსებად, თუ ამ კრედიტების გამოყენება საჭიროა მიმღები პროგრამის ძირითადი, ან თავისუფალი სასწავლო კომპონენტების სწავლისათვის (პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის გათვალისწინებით).
11. სასწავლო კურსების შინაარსის თავსებადობის დასადგენად შესაძლებელია შემდეგი წყაროების გამოყენება:
    ა) მობილობის მსურველი სტუდენტის მშობლიური უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
    ბ) ამავე უნივერსიტეტიდან მიღებული სატელეფონო ინფორმაცია;
    გ) შესაბამისი სასწავლო კურსის წარმოდგენილი სილაბუსი;
    დ) სტუდენტთან გასაუბრება, რითაც დადგინდება სასწავლო კურსის შინაარსის ცოდნა.
12. დასკვნას, კრედიტების აღიარება-არაღიარების შესახებ, რექტორის ბრძანების პროექტის გამოცემამდე, ეცნობა სტუდენტი და ადასტურებს ხელმოწერით.

## მუხლი 29. კურსების აღიარება Eჩთშ არმქონე საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმომსვლელი სტუდენტებისათვის

1. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი წარმოადგენს აკადემიურ ცნობას არა Eჩთშ კრედიტებით, არამედ სხვა სისტემით, მოთხოვნილ უნდა იქნეს სტუდენტის მშობლიური სასწავლებლიდან განმარტებითი ბარათი წარმოდგენილი სისტემის EEჩთშ კრედიტებთან შესაბამისობის შესახებ.

## მუხლი 30. არასაკრედიტო სისტემით წარმოდგენილი აკადემიური შედეგების იდენტიფიცირება

1. არასაკრედიტო სისტემით შეფასებული კურსების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია თითოეულისათვის კრედიტების მინიჭება ცალ-ცალკე.

2. არასაკრედიტო სისტემით შეფასებული კურსებისათვის კრედიტის მინიჭება ხდება შემდეგი წესით:
   ა) ყოველი კურსის საკონტაქტო საათი უნდა გამრავლდეს 2.5-ზე და გაიყოს 25-ზე – მიღებული ციფრი ჩაითვლება კურსის კრედიტად.
   ბ) თუ აღნიშნული წესით დაანგარიშებული კრედიტი არ იძლევა მთელ ციფრს _ ის უნდა დამრგვალდეს.
3. 5 ბალიანი სისტემით კურსების შეფასების შემთხვევაში აუცილებელია მათი გადაყვანა 100 ბალიან სისტემაზე, კერძოდ:

   "5" ძალიან კარგი = 81 ქულა
   "4" კარგი = 71 ქულა
   "3" დამაკმაყოფილებელი = 51 ქულა

## მუხლი 31. გამოცდა/გასაუბრება

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ჩაატაროს გამოცდა ან გასაუბრება მობილობის მსურველთა მომზადების დონის თავსებადობის დადგენის მიზნით მიმღები პროგრამით დადგენილ მოთხოვნებთან ან ზოგიერთი განსხვავებული სასწავლო კურსის თემატიკის ფარგლებში ცოდნის გამოსავლენად ამ კურსის კრედიტის აღიარების მიზნით.
2. გამოცდის/გასაუბრების ჩატარებას უზრუნველყოფს სკოლის დეკანატი.
3. გამოცდა ტარდება ტესტირების ან წერითი ფორმით.
4. საგამოცდო ტესტი/ბილეთი შეიცავს გავლილი პროგრამული ციკლის ნაკრებ მასალას, რომლითაც დგინდება სტუდენტის ცოდნის დონე და მზაობის ხარისხი მიმღები პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
5. საგამოცდო კომისიები იქმნება დეკანის სამართლებრივი აქტით.
6. გამოცდის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
7. გასაუბრება გულისხმობს დეკანის მიერ შექმნილი კომისიის წევრებსა და აპლიკანტის ზეპირ გასაუბრებას განვლილი მასალის ფარგლებში, რომელიც თეზისურად უნდა იქნას დაფიქსირებული მატერიალურ მატარებელზე.

## მუხლი 32. მობილობის გამოცდის/გასაუბრების შედეგების გასაჩივრება

1. გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 24 საათის განმავლობაში სტუდენტი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს მიღებული შეფასების გადასინჯვის მოთხოვნით.
2. განცხადების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.
3. სააპელაციო კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც პასუხისმგებელია კომისიის

გადაწყვეტილების ობიექტურობაზე და აწერს ხელს კომისიის დასკვნას.

4. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, კომისია უფლებამოსილია ძალაში დატოვოს ან შეცვალოს საგამოცდო კომისიის მიერ გაკეთებული შეფასება.
5. გასაუბრების გასაჩივრების შემთხვევაში, კომისია ატარებს დამატებით გასაუბრებას, როგორც განვლილი გასაუბრების თემატიკის ფარგლებში, ისე ახალი საკითხებით.

## მუხლი 33. შიდა მობილობა

1. შიდა მობილობა გულისხმობს უნივერსიტეტის სტუდენტის გადასვლას ერთი სკოლიდან/ პროგრამიდან მეორეზე.
2. შიდა მობილობა დაიშვება ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრისა და ყველა მომდევნო სემესტრის დასრულების შემდეგ. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული გაზაფხულის და შემოდგომის მობილობის პერიოდში, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ვადის ფარგლებში.
3. შიდა მობილობის განხორციელებას საფუძვლად უდევს ამ დებულების 27-ე და 28-ე მუხლებით გათვალისწინებული წესი, დამატებითი რეგულაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ვადა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.
4. იმ შემთხვევაში, თუ სხვა პროგრამაზე სწავლის საზღაური განსხვავებულია - სტუდენტს დაეკისრება საზღაურის ის ოდენობა, რაც დაწესებულია არჩეულ პროგრამაზე, თუ არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება.
6. ამ მუხლით დადგენილი პროცედურის დასრულების შემდეგ, გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი და ამოქმედდება ამავე დებულების 27-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი ნორმა.

## მუხლი 34. უნივერსიტეტიდან გადასვლა

1. მობილობის პროცესისთვის დადგენილ პერიოდში სტუდენტი მიმართავს განცხადებით სკოლის დეკანს მობილობისათვის საჭირო დოკუმენტების ასლის მიწოდების შესახებ.
2. სამი სამუშაო დღის ვადაში, სკოლის ადმინისტრირების ოფისი ამზადებს შესაბამისი დოკუმენტების ასლებს და გადასცემს სტუდენტს.
3. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე შესაბამის ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.
4. სტუდენტის მომართვიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა, გაიცემა ამონაწერი შესაბამისი სამართლებრივი აქტიდან და პირად საქმეში არსებული დოკუმენტები.
5. მობილობისათვის საჭირო ორიგინალი დოკუმენტების მიღებამდე სტუდენტი ვალდებულია დაფაროს ფინანსური დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. სტუდენტის გადასვლის გამო სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტი და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია, დადგენილი ფორმის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ცენტრს მის მიერ დაგდენილ დროს.